ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1718318

ნომერი: AR1282469

თარიღი : 29.01.2015

გაცემის თარიღი : 05.02.2015

გაცნობის თარიღი : 05.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , სკოლა ,,21 საუკუნის" მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე გელაშვილი პ/ნ 01002020997
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 23 ბ. 22

ორგანიზაცია:
- შპს`სკოლა XXI საუკუნე` კოდი: 204418825

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად მოგახსენებთ, რომ ვინაიდან საჯარო რესტრის ამონაწერში, ვალდებულების პუქტში დაფიქსირებულია ჩანაწერი" კიბისა და ავტოსადგომის მოსაწყობად ასევე ოქმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით" საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული ოქმი რომელშიც არის დაფიქსირებული სარეკლამო აბრის მოწყობა, ან თვითმმართველი ერთეულის თანხმობა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე.
ამას გარდა გაითვალისწინეთ: - გაურკვეველია თქვენი (მოქ. ეკატერინე გელაშვილის) უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს შ.პ.ს. "სკოლა XXI საუკუნე" –ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით) ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში, იმ შემთხვევაში კი თუ თქვენ მოისაზრებით როგორც უფლებამოსილის პირი, ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.